კაროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 24 მაისი, 1949 წ. № 102 (8405). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მეცხოველეობის დარგის მუშაკთა შორის მებრძოლი ბოლშევიკური აგიტაციისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში (მე 2 გვერდი).
ე. ხუნდაძე — ბოლშევიკური პარტიის XIII ყრილობა (მე-2 გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
პროფესორი კ. ბაზილევიჩი — დიდი რუსი ხალხი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი ძალაა (მე-3 გვერდი).
გამოცდები სკოლებში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მეცხოველეობის დარგის მუშაკთა შორის მებრძოლი ბოლშევიკური აგიტაციისათვის

ჩვენმა ქვეყანამ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად დიდი წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობაში, განიზარდა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა, მაგრამ სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი — მეცხოველეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული „სოფლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა“ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზულ პროგრამას სახავს. „საჭიროა, — ნათქვამია სამწლიან გეგმაში, — უმოკლეს დროში უზრუნველყოთ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის ისეთი აღმავლობა, რომელიც ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა კეთილდღეობის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას და შესაძლებელს გახდის დაკმაყოფილებულ იქნას მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ხორცზე, ცხიმებზე, რძესა და რძის პროდუქტებზე, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის მზარდი მოთხოვნილება მატყლზე, ტყავზე და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებზე“.

მეცხოველეობის რაიონების მუშაკთა, პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ბოლო პოუოლნი ჩამორჩენას მეცხოველეობის განვითარებაში, მთელი ძალები დარაზმონ სამწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის პოპულარიზაციაში, ამ გეგმით დასახულ ამოცანათა შესრულებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება შესარულონ ჩვენმა აგიტატორებმა. ისინი თავიანთი მართალი, მეზანსწორფული აგიტაციით უნდა დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს მეცხოველეობის განუხრელად განვითარების საქმეში.

საქართველოს მეცხოველეობის დარგის მუშაკებში სამწლიანი გეგმამ ახალი შრომითი ალმაფლობა გამოიწვია. რესპუბლიკაში გაჩაღდა მუშობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში გააძლიერეს საagიტაციო-მასობრივი მუშობა; მოწინავე აგიტატორები უნარიანად ეწევიან სამწლიანი გეგმის პოპულარიზაციას, საუბრებს ამ გეგმაზე ეჭიდრიდ უკავშირებენ ადგილობრივ პირობებს, საბჭოთა მეურნეობისა თუ კოლმეურნეობის, მეცხოველეობის ფერმების კონკრეტულ ამოცანებს. აღსანიშნავია ყვარელის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ ფერმის აგიტატორის ამხ. გ. იმერლიშვილის მუშობა. მისი აგიტაცია კონკრეტულია, ეჭიდრიდ დაკავშირებულია ცხოვრებასთან. არ არის ფერმის მუშობის არც ერთი მხარე, არც ერთი „წვრილმანი“, რომელსაც იგი არ იცნობდეს და არ შეხებიდეს თავის საუბრებში. მისი აქტიური მონაწილეობით სწორდება მუშობის ნაკლოვანებანი, მისმა საუბრებმა განამტკიცა ფერმის მუშაკთა პატიოსნებისმგებლობა, გამოასწორა ჩამორჩენილები, ფერმის მუშაკები მისი საუბრებით ყოველთვის ყველა ახალი მოვლენის კურსში არიან, ეცნობენ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო ვითარების საკითხებს. აგიტატორმა შეძლო ფერმაში პატარა ბიბლიოთეკის მოწყობა, მისი უზრუნველყოფა საჭირო ბროშურებითა და ჟურნალ-გაზეთებით, მისი ინიციატივით აქვე მოეწყო რადიომიმღები. თავიანთი ამოცანების შეგნებით მუშაობენ საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთის ეროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის აგიტატორი პ. კაპანაძე, ბორჯომის რაიონის სოფელ დაბის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის აგიტატორი პ. ჯაფიაშვილი, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის აგიტატორი ი. გაგნიძე და სხვები. აღსანიშნავია ის, რომ მათი აგიტაცია კონკრეტულია და ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია. ისინი არ ამაყოფილდებიან მარტო გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების გადაცემით, ზოგად საკითხებზე საუბრებით.

დღეს გაზეთ „კომუნისტში“ იბეჭდება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მიერ ამ დღეებში ჩატარებული მეცხოველეობის ფერმებისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მოწინავე აგიტატორთა თათბირის შედეგები. თათბირზე აღინიშნა მეცხოველეობის ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებში საagიტაციო-მასობრივი მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. მეცხოველეობის რაიონების ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია არ ზრუნავს მეცხოველეობის დარგის მუშაკთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის განაშლელად, არასაკმაოდ ხელმძღვანელობს და ეხმარება აგიტატორებს, არ ისმენს მათ ინფორმაციას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ბევრგან ჩაშლილია საagიტაციო-მასობრივი მუშაობა, დაბალია აგიტაციის იდეური დონე, აგიტაცია ტარდება ცხოვრებისაგან, საბჭოთა მეურნეობისა თუ კოლმეურნეობის კოხკრეტული, პრაქტიკული საკითხებისაგან მოწყვეტით, ამასთან ზოგან პარტიული ორგანიზაციები აგიტატორებს ვერ უზრუნველყოფენ საჭირო სახელმძღვანელო ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით. განსაკუთრებით ეს ითქმის რაიონის ცენტრს დაცილებულ ადგილებში მომუშავე აგიტატორებზე.

თათბირის მიერ დასახული ღონისძიებანი მეცხოველეობის რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა საფუძვლად უნდა დაუდონ თავიანთ მუშაობას სამწლიანი გეგმის ფართო ახსნა-განმარტებისა და მეცხოველეობის ფერმებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის.

ბოლშევიკი აგიტატორის დამრაზმავი, მართალი სიტყვა უნდა გაისმოდეს მეცხოველეობის ყველა საბჭოთა მეურნეობაში, ყველა ფერმაში, საზოგადოებრივ იალაღებზე თუ საზამთრო საძოვრებზე. ამჟამად მეცხოველეობის დარგის მუშაკთა შორის მომუშავე აგიტატორებს არა აქვთ იმაზე უფრო სიპატიო ამოცანა, ვიდრე სამწლიანი გეგმის პოპულარიზაცია და ამ გეგმიდან გამომდინარე კონკრეტულ ამოცანათა შესრულებისათვის მასების დარაზმვა.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყოფ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები, ფერმები აგიტატორთა მომზადებული, უნარიანი კადრებით, სისტემატური, კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ მათ, შეურჩიონ საagიტაციო თემები, ხშირად მოიწვიონ მათი თათბირები, მოისმინონ აგიტატორთა ინფორმაცია და განახორციელონ საagიტაციო მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებები.

პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ შეუნელებელი ზრუნვა აგიტაციის იდეური დონის ამაღლებისათვის. ამიტომ აუცილებელია აგიტატორებისათვის მოვაწყოთ კვალიფიციური ლექციები და მოხსენებები, მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების განზოგადება, უზრუნველვყოთ აგიტატორები საჭირო ლიტერატურით, ბროშურებით, ჟურნალ-გაზეთებით. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მთაში, საზაფხულო იალაღებზე — რაიონულ ცენტრებს დაცილებულ ადგილებში მომუშავე აგიტატორთა მომზრავებას, მათდამი ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეს.

მეცხოველეობის დარგის მუშაკთა შორის მებრძოლი, ბოლშევიკური აგიტაციის გაშლა, მასების დარაზმვა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულებისათვის, პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის განუწყვეტელი ზრდისათვის — ასეთია ამჟამად სოფლის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 20 მაისისათვის 100 პროცენტით შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თესვის გეგმა

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 მაისისათვის 101, 4 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ტყიბული. (საკ. კორ.). შეჯამებულია ტყიბულშახტაშენის ტრესტის საწარმოების აპრილის მუშაობის შედეგები. აპრილში ყველაზე მაღალსაყოფიერად იმუშავა შახტების გაღრმავების სამმართველომ, რომელმაც დაავლება 106,2 პროცენტით შეასრულა და წინა თვესთან შედარებით 15,5 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ამ წარმატებისათვის შახტების გაღრმავებლებმა მოიპოვეს ტყიბულშახტაშენის ტრესტის საწარმოებს შორის დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა.

მთხრელთა ბრიგადებს შორის პირველობა მოიპოვა ორგზის ორდენოსანი მეშახტის ვ. ბარტნოვსკის ბრიგადამ. ამ ბრიგადამ აპრილის დავალება 195,4 პროცენტით გაანაღდა. კარგად იმუშავეს აგრეთვე ვ. კუზმინისა და ს. გვენტაძის მთხრელთა ბრიგადებმა.

პროფესიათა მიხედვით გაჩაღებულ შეჯიბრებაში საუკეთესო მთხრელის წოდება მოიპოვა ვ. ბარტნოვსკიმ, მეგზურნეთა შორის გაიმარჯვა შორის აშენებლობაზე მომუშავე ნ. მეხედმა, რომლის საწარმოო მაჩვენებელია 150 პროცენტი. დურგალთა შორის კარგ წარმატებას მიაღწია რ. ცნობილაძემ (162 პროცენტი).

სამი თვის განმავლობაში სტაბანოვური მუშაობისათვის ტყიბულშახტაშენის ტრესტის სპპატიო დაფაზე შეტანილი არიან მოწინავე მთხრელები, სოციალისტური შრომის გმირი პ. ჭელიშვილი, ა. სივაკი და რ. ცნობილაძე.

გაჩაღმავალი დროშების გადაცემა

ხაშური. (საკ. კორ.). ამ დღეებში ხაშურის რკინიგზის კლუბში ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო კომიტეტისა და გზის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშები გადაეცათ ხაშურის სავაგონო დეპოს, სალიანდაგო დისტანციას და ენერგომომარაგების უბნის კოლექტივებს აპრელში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის.

აპრილში სავაგონო დეპოს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ყველა სახის შეკეთებიდან გამოუშვა 67 ვაგონი, ოთხ თვეში დაზოგა 194 ათასი მანეთი. სალიანდაგო დისტანციის კოლექტივმა დავალება შეასრულა 363 პროცენტით, ხოლო ენერგომომარაგების მუშაკებმა 272 პროცენტით.

გარდამავალი დროშების მიღებისას სავაგონო დეპოს, სალიანდაგო დისტანციისა და ენერგომომარაგების უბნის უფროსებმა ვ. ჯიქურაშვილმა, კ. ნაგორნიმ და შ. ცაცებაშვილმა მთელი კოლექტივის სახელით იკისრეს ახალ წარმატებათა მოპოვება.

სამგორის სახალხო მშენებლობა

თეთრწყაროელებთან

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეებს სამგორის არხის მშენებლობაზე შეხედათ ჩირგვნარიანი ნაკეთები. უბანი თახსარია, ხოლო ადგილ-ადგილ ქვიანიც. ერთ ადგილას კი ყამირს ქვეშ გრანიტის კლდე ამოჩნდა. მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, თეთრწყაროელებმა განიზრახეს წარმატებით გაანაღდონ დაპირება, ე. ი. შეასრულონ 6.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო, მაგრამ არა 6-7 დღეში, როგორც ზოგი სხვა რაიონიდან ჩამოსულმა კოლმეურნეებმა, არამედ ბევრად უფრო მოკლე ხანში — ოთხ-ხუთ დღეში.

უკვე ორი დღეა თეთრწყაროელები არხის გაყვანაზე მუშაობენ, და უნდა ითქვას, მათი ნამუშევარი მართლაც სანიმუშოა.

900-მდე კოლმეურნეა აქ ჩამოსული ამ რაიონიდან. 6.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაოს შესრულება 4-5 დღეში ისეთ ნაკეთეზე, როგორიც მათ შეხედათ, იოლი საქმე როდია, მაგრამ წარმატებას მათ უადვილებთ შრომის კარგი ორგანიზაცია. თეთრწყაროელთა ეს გამოცდილება სხვა რაიონებიდან ჩამოსულებსაც გამოადგებათ.

უბანზე სამუშაოდ გასული კოლმეურნეები მოინახულა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ვინბაევმ. დააკვირდა მათ მუშაობას, გამოელაპარაკა კოლმეურნეებს, და ცხადი გახდა, რომ საქირო იყო შრომის უფრო რაციონალურად მოწყობა. ეს მეზედულება ყველამ გაიზიარა. გადაწყვეტილ მუშაობა კონვეიერული პრინციპით მოეწყოთ: ერთი ჯგუფი მიწას ჭრის, მეორე ჯგუფი კლეკს ანგრევს, მესამე ჯგუფი სახიდავზე ყრის მონანგრევს, მეოთხე ყამირს მეეზიდება. რიცა ერთნი დაიღლებიან, მათ სხვები შეცვლიან, რათა მუშობა წარმოებდეს გაუწყვეტლივ.

ყურადღება მიაქციეს აგრეთვე უბნის სხვადასხვა ნაკეთებზე ძალთა განაწილებას. საუკეთესო ვაჟაცები იქ დაადგენეს, სადაც უფრო მძიმე სამუშაო იყო, ფართოდ გააჩაღეს ინდივიდუალური და ჯგუფური შეჯიბრება. კოლმეურნე მშენებლები არხის გაყვანისას იცავენ არა მარტო თავიანთი კოლეტიურობების, არამედ თავიანთი სოფლების ღირსებასაც. სოფელი კოდი ეჯიბრება ბოგვს, ვაშნარი — ბეხთს, ერდეგი—არდასუბანს, თხინვალა—საღრამწს. არხის გაყვანაში პირველობა ბანაკის მთავარ კარავთან ამმართული დროშის მოპოვების უფლებას იძლევა. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ელ. გურაბანიძე, სასოფლო საბჭოების თავმჯდომრეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რაიონის პარტიული აქტივის წარმომადგენლები აქ არიან, მშენებლებს ახალი შრომითი მიღწევებისათვის აღფრთოვანებენ.

არჩილ ყანჩაველი და დიმიტრი კიკოლაშვილი, პირველი — თეთრი წყაროს სასოფლო საბჭოს, ხოლო მეორე ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, წერაქვებით ხელში მშენებლების წრეში ჩამდგარნი გასძახიან მახლობლად მომუშავეებს:

— ბიჭებო, მანგლისელებმა არ გვჯობონ, თორემ აგვიკლებენ კვეხნით!

— ივანოვკელებმა მეტი მიწა გაიტანეს, თქვენ რას აგვიანებთ, ჩვენებურებო!

სოფელ ივანოვკაში ბერძნების კოლმეურნეობა „უმროსიდან“ მშენებლები იმ გადაწყვეტილებით წამოსულან სამგორში, რომ უკან პირველობამოპოვებულნი დაბრუნდნენ. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე თემისტოკლე თოპეზისი თვითონ სტახანოვურად მუშაობს და ყოველ წუთს იმას ახსენებს თავის ამხანაგებს, უკეთესად თუ არ ვიმუშაეთ, სარაიონო პირველობისა თვის აქ ბევრი კანდიდატი ჰყავთო.

დიდი მონდომებით და თავდადებით მუშაობენ არხის გაყვანაზე სოფელ კოდის ბაკრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, რომელთაც ოისეგ დალაქიშვილი ხელმძღვანელობს. მათ არ ჩამორჩებიან სოფელ თხინვალის კოლმეურნეობა „ახალი გზის“ (თავმჯდომარე ნიკო წოკლაური), სოფელ ვაშნარის ეროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ს. ლაზარაშვილი) და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობების წევრები.

მშენებლებს შორის საagიტაციო მუშაობას უნარიანად ეწევიან აგიტატორები ა. თეგეთაშვილი, ი. ყანჩაველი, ი. ხუციევი, ექიმი გ. გრძელიშვილი, ა. ბუროკი და სხვ.

ნასაგურის ველს ახლა ლილოს დაფენების სიმაღლიდან გვირგვინივით თავს აკრავს ზემომავლისტრალური არხის მიწაყრილი ამაღლებული ხაზი. თბილისის რაიონის კოლმეურნე მშენებელთა დიდი უბნიდან, რომელიც მარტყოფის ნევთან იწყება, არხის ხაზი დასავლეთისაკენ, ორხევის მიმართულებით გრძელდება. გუშინდლამდე ეს ხაზი აქა-იქ გაწყვეტილი იყო. გარდაბნელებმა მცხეთელების გათხრილი არხი გააგრძელეს და ბოლისელების უბნამდე მიიყვანეს, ხოლო მცხეთელების უბნიდან ნასაგურის ველამდე არხის ტრასი მარტო პიკეტებით იყო აღნიშნული.

ახლა აქაც სრული მოცულობის არხია გაჭრილი. თუნდაც ხვალ მოვიდნენ მებეტონეები, ამოლესონ არხის კედლები, დე მალე წაშვიდეს ივრის წყალი ხალხისათვის საჭირო მიმართულებით და გააცოცხლოს, ააყვაოს ეს თვალუწვდენი მიდამოები. მაშინ სამგორის ბალებში შესული მეგალე, ვენახში — მევენახე გაიხსენებენ 1949 წლის ზაფხულზე აქ მოსულ მშენებლებს.

— დიდგრძელი იყოს მათი მარჯვენა!

დ. ლომთაძე

ზესტაფონელ მეჯალურგთა დაჯილდოება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 5 მაისის ბრძანებულებით ხანგრძლივი და უმჯობესი მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ზესტაფონის ბერიას სახელობის ფერროშენადნობთა ქარხნის მუშაკთა დიდი ჯგუფი 199 კაცის შემადგენლობით:

ამ დღეებში ქარხანაში გაიმართა ამ საპატიო ჯილდოს მიღებისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. რაზმაძემ. დამსწრეებს ბრძანებულების ტექსტი გააცნო ქარხნის დირექტორმა ამხ. ი. კეკელიძემ. დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ზრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულმა ინჟინერმა ი. ლორთქიფანიძემ, მფლობელებმა მ. ვაშაყიძემ, ე. ნასიძემ და სხვებმა, რომლებმაც პირობა დადეს კვლავაც ნაყოფიერად იმუშაონ საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ვაქა-ფშაველას ძეგლი

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში ეწყობა სკვერი. აქ დაიდგმება მხატვრულად გაფორმებული სპპატიო დაფა, რომელიც ასახავს რაიონის მოწინავე ადამიანების ზრომით წარმატებებს. სკვერის ცენტრში, მაღალ კვეტლსტლბეკზე დაიდგმება დიდი ქართველი მგოსნის ვაჟაფშაველას ძეგლი, რომლის გამოქანდაკებაზე მუშობს მოქანდაკე ბ. ავალიშვილი.

კოლმეურნეობამ ააშენა კლუბი. აბანო. საექიმო კუნძი

მაიაკოვსკი. (სპეც. კორ.). სოფელ საკრაულაში კოლმეურნეობამ „კომუნისაკენ“ დაამთავრა კლუბის შენებლობა. კლუბი 350 კაცს დაიტევს. კოლმეურნეობამ წელს მოაწყო საკუთარი საექიმო პუნქტი. პუნქტს ენერგიულად ხელმძღვანელობს ექიმი თ. ბერძენიშვილი.

ამჟამად კოლმეურნეობა აშენებს და უახლოეს დღეებში დაამთავრებს აბანოს.

2.004.500 მანეთი სახელმწიფო დახმარება

ქარელი. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ 1948 წლიდან დღემდე სამამელო ომის ინვალიდებზე პენსიის ზახით გასცა 459.500 მანეთი, ომში დაღუპულთა ოჯახებზე — 1.490.000 მანეთი. სამამელო ომის 21 ინვალიდს მიეცა 75 კუბმეტრი საშენი ხის მასალა, ხოლო სამამელო ომის ინვალიდებზე და ომში დაღუპულთა ოჯახებზე ერთდროულად დახმარების სახით გაეცემულია 55.000 მანეთი.

ღიკანის სანატორიუმში

ბორჯომი. (საკ. კორ.). საკავშირო პროფსაბჭოს ლიკანის სანატორიუმში წარმატებით მიმდინარეობს ახალი საკურორტო სეზონისათვის მზადება. წელს სანატორიუმისათვის ააგეს 150-ცხენისძალიანი ელექტროსადგური, შეასრულეს შენობების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, მოეწყო გაზონები, საყვავილე სათბურები, დაიდგა სკამები. „ტყის დღესთან“ დაკავშირებით სანატორიუმის ეზოში დაირგო 500-მდე წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშის ნერგები. წარმატებით მიმდინარეობს სანატორიუმის ეზოს შემოღობვა და სხვა სამუშაოები.

ახალი მშენებლობანი

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). სოფელ შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ ააშენა გამგეობის კანტორა და კლუბი, რომელიც დაიტევს 400-მდე მაყურებელს.

კოლმეურნეობამ თესლის შესანახავად დამატებით ააშენა ცალკე საწყობი 100 ტონის ტევადობისა. ამჟამად კოლმეურნეობა აშენებს ახალ ბოსელსა და აბანოს. გაფორთოვდა საკუთარი ელექტროსადგურის ქსელი, მრავალი კოლმეურნის სახლს ანთებს ელჩის ნათურა.

სოციალისტური შრომის გმირები

შ. ნ. ლომჯიძე

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 28,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 30,8 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქოს მოლებისათვის.



მ. დ. ჭიჭაღუა

გაგრის რაიონის განთიადის სახელოვან საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 12,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 24,9 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოლებისათვის.

ო. ბ. მინასიანი

ოჩამჩირის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,5 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოლებისათვის.

ნ. ი. ზავრაშვილი

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 9,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 28,4 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქოს მოლებისათვის.

განუწყვეტლივ კრეფენ ჩაის ფოთოლს

სამტრედია. (საკ. კორ.). სულ უფრო ძლიერდება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ტემპი. სოფელ ეწერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ყოველდღიურად კრეფენ 800 კილოგრამ ჩაის ფოთოლს, შარშან ამ დროისთვის კი 300 კ ლოგრამი იკრეფებოდა. ამ ჩაის ბუჩქები კარგად არის მოვლილი და უხვ მოსავალსაც იღებენ. კოლმეურნე აბგელინა კოპალეიშვილი დღეში აკრეფს 50 კილოგრამ ჩაის. ფოთოლს. მან უკვე 400 კილოგრამზე მეტი ჩაი მოკრიფა.

სოფელ ჯიხაიშის ჩაბუბანიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფეს 3.880 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მაისის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. კოლმეურნე თამარ ლეკაეა, მარიამ ბზეიძე დღეში 50-60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს თვითეული, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 8-10 კილოგრამისა.

სოფელ ნოღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მაისის გეგმა 20 რიცხვისათვის 101 პროცენტით შესრულდა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში

ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში ჩატარდა მეცხოველეობის ფერმებისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მეურნეობრივ-საბუღალტრო აგიტატორთა თათბირი „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების საშვლილი გეგმის (1949-1951 წლები)“ შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და „1949-1951 წლებში მეცხოველეობაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის სოფლის მეურნეობის მოწინავეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ფართო ახსნა-განმარტებისა და მეცხოველეობის ფერმებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საკითხებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცხოველეობის ძირითადი რაიონების 45 აგიტატორმა და ზოგიერთი სასოფლო რაკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ მეცხოველეობის რაიონების ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია არასაკმაოდ ხელმძღვანელობს მეცხოველეობის ფერმებისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების აგიტატორებს, დროულად არ აწვდის მათ ჟურნალ-გაზეთებს და სხვა საჭირო ლიტერატურას, იშვიათად ისმენს აგიტატორების ინფორმაციას პარტიულ კრებებზე, არ სახავს საჭირო ღონისძიებებს მეცხოველეობის მუშაკებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად, არ ეწყობა ლექციები და მოხსენებები სამეცნიერო-პოპულარულ და სასოფლო-სამეურნეო, აგრეთვე მეცხოველეობის აქტუალურ საკითხებზე. მეცხოველეობის მუშაკებისათვის არადამაკმაყოფილებლად წარმოეს პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვანი დადგენილებების გაცნობა, აგიტატორებთან იშვიათად ატარებენ ინფორმაციას სსრ კავშირის საერთაშორისო და სამშინაო მდგომარეობის შესახებ, გამოყენებული არ არის რადიო, როგორც მასების შორის კულტურულ-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ძლიერი საშუალება.

მეცხოველეობის ფერმებსა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად თათბირმა საჭიროდ ცნო, რათა პარტიულმა ორგანიზაციებმა ა. წ. 30 მაისამდე დაამთავრონ აგიტატორთა კადრების შერჩევა და განაწილება მეცხოველეობის თვითეულ ფერმასა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში, 10 ივნისამდე მოაწყონ მეცხოველეობის აგიტატორთა სემინარები, სადაც საფუძვლიანად უნდა იქნას შესწავლილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილება, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, გააცნონ აგიტატორებს საგაზეთო-მასობრივი მუშაობის ის ძირითადი, საბრძოლო ამოცანები, რომლებიც მეცხოველეობის წინაშე დგანან.

აგიტატორების ამოცანაა ფართოდ განუმარტონ მშრომელებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებების მნიშვნელობა, განუმარტონ მათ მეცხოველეობის დარგში მოპოვებული მიღწევები, დროულად გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო ფერმებსა, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებსა და მეცხოველეობის მუშაკებს შორის. სოციალისტური შეჯიბრება მიმართულ უნდა იქნას საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის ყოველმხრივ გაუმჯობესებისა და მისი გაუხრული აღმავლობისაკენ.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა უნდა ტარდებოდეს ფერმებისა და საბჭოთა მეურნეობების ამოცანებთან მჭიდროდ დაკავშირებით. პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით უნდა გაამახვილონ ყურადღება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე. პარტიისა და მთავრობის მიერ დაყენებული ამოცანების განხორციელება მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში მოითხოვს ყოველდღიურ, სერიოზულ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერებას მეცხოველეობის დარგის მუშაკებთან.

აგიტატორთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ასამაღლებად სისტემატურად უნდა მოეწყოს ლექციები და მოხსენებები. პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქცინონ აგიტატორებისათვის გაზეთების, ბროშურებისა და სხვა საჭირო ლიტერატურის დროულად მიწოდებას.

გამოცდილების გაზიარების მნიშვნელოვანი საკითხია მეცხოველეობის მოწინავე მუშაკებს შორის მოეწყოს მიწერ-მოწერა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

აგიტატორები სისტემატურად უნდა ატარებდნენ საუბრებს მწყემსებთან, მეცხოველეობის თვითეულ მუშაკთან პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე.

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ უნდა იქნას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება: პრესა, რადიო, კინო და სხვ. ფართოდ უნდა გაიშალოს მეცხოველეობის დარგში სოციალისტური შრომის გმირებისა და აგრეთვე სხვა მოწინავე მუშაკების მედიდური გამოცდილების პოპულარიზაცია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მეცხოველეობის ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებში თვალსაჩინო აგიტაციის (პლაკატების, ლოზუნგების, დიაგრამების და სხვ.) სათანადოდ გამოყენებას.

ერთი თვის განმავლობაში მეცხოველეობის ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოეწყოს გაზეთის ვიტრინები, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების წარმატების მაჩვენებელი დფფები, ფოტოგეტრინები და სხვ.

უზრუნველყოფილ იქნას საველე გაზეთების სისტემატური გამოშვება, სადაც ფართოდ გაშუქდეს ფერმებისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების თვითეული მუშაკის საქმიანობა. სასტიკი ბრძოლა გაძოცებადოს შრომის დეზერტირებს, უყაირათო მუშაკებს, ზარმაცებს.

მეცხოველეობის ფერმებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კულტურული მომსახურების გაძლიერების მიზნით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საოლქო და რაიონულმა განყოფილებებმა უნდა მოაწყონ აგიტმხატვრული ბრიგადები და ციმრავი ბიბლიოთეკები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების სამმართველოსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტს დაევალა მწყემსთა შორის კულტურული მომსახურებისათვის მეცხოველეობის ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამა წლის 1 ივნისიდან გაგზავნონ აგიტმხატვრული ბრიგადები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა მოაწყოს მეცხოველეობაში მოძმშავე აგიტატორებისთვის ლექციები სამეცნიერო-პოპულარულ თემებზე, აგრეთვე მეცხოველეობის აქტუალურ საკითხებზე.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროს დაევალა კოლმეურნეობებში და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში გაგზავნოს სუეკეთესო კინოურნალები და კინოსურათები, განსაკუთრებით საზაფხულო სეზონებზე მწყემსების მომსახურების მიზნით.

საქართველოს რადიოკომიტეტმა სისტემატურად უნდა გადასცეს მასალები მეცხოველეობის ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე მოწინავე მუშაკების წარმატებათა, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების მდგომარეობისა და მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების შესახებ.

ცეკავშრს დაევალა დროულად მიაწოდოს მეცხოველეობის რაიონებს მასობრივ-პოლიტიკური ლიტერატურა, პლაკატები, ლოზუნგები, დეტექტორული რადიომიმღებები და სხვ.

მეცხოველეობის ყველა ფერმა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები, განსაკუთრებით საზაფხულო საძოვრებზე უზრუნველყოფილ უნდა იქნან დეტექტორული რადიომიმღებებით.

რესპუბლიკურმა, საოლქო და რაიონულმა გაზეთებმა სისტემატურად უნდა მოათავსონ თავიანთ ფურცლებზე მასალები მეცხოველეობის ფერმებისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების წარმატებათა შესახებ და მოაწყონ მეცხოველეობაში მომუშავე მოწინავე აგიტატორების, სოციალისტური შრომის გმირების გამოცდილების ფართო პოპულარიზაცია.

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 91, 93, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი 1948 წლის 24 აპრილისა და 2 ივნისის ბრძანებულებათა შესაბამისად, **სიმონდის, შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა ამბის ასაოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარება და კოტრაქტაცია, ნატურანაზღაურება მტს-ებია 1948 წლის მუშაობისათვის და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნნ:**

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

248. **ხუფენია** დუშა ესტატის ასული — ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

249. **ხურცილავა** ივანე პავლეს-ძე — ფოთის რაიონის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

250. **ცანავა** ისაკი ალექსის-ძე — ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის მტს-ის უფროსი აგრონომი.

251. **ცეცხლაძე** ისრაფილ მევლუდის-ძე — ხულოს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

252. **წითელაძე** ნაზიე სულეიმანის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ წევრი.

253. **წულაია** სერნო ბესარიონის ასული — გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

254. **ჭაბაშვილი** მარიამ გიორგის ასული — ლაგოდეხის რაიონის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

255. **ჭაკვეტაძე** ვაჟა პლატონის-ძე — გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

256. **ჩემინავა** დესპინე ბაძუს ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალკახათის“ წევრი.

257. **ჩიკვაიძე** უმიან მუსას ასული — ქედის რაიონის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

258. **ჭოჭუა** ფილიპე ბესინიკის-ძე — ხობის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

259. **ჭურჭულია** ძუკუ მუხრანის-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

260. **შაბან** ნაზდი ყიზი — ბოლნისის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

261. **შაინიძე** უმეგინ ჰოსეინის ასული — ხულოს რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

262. **შარაფ** აღამალი ყიზი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

263. **შაშიკაძე** მუსტაფა უზეირის-ძე — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „მე-18 პარტყრილობის“ მერგოლური.

264. **შავაძე** ახმედ ისმაილის-ძე — ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობის გაყოფილების ინსტრუქტორ-ბუხალტერი.

265. **შეკელაძე** ევგენია ალექსანდრეს ასული — ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

266. **შეკელაძე** ევგენია იაკობის ასული — ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

267. **შერიფაძე** ფერიდე სულეიმანის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „მე-18 პარტყრილობის“ წევრი.

268. **შიუკაშვილი** გიორგი ზაქარიასძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

269. **შონია** შალვა გიორნის-ძე — გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

270. **შუშანიძე** შუქრიე ახმედის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ წევრი.

271. **იაკობაძე** ზექია მემედალის ასული — ბათუმის რაიონის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **აბულაძე** იზეთ ვეზირის-ძე — ხულოს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

2. **აბუსერიძე** რას

ისმაილის-ძე — ხულოს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

3. **ალადაშვილი** ელენე ნიკოლოზის ასული — სიღნაღის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

4. **ალიევა** კოიჩაკ ისლან ყიზი — მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

5. **ანანიძე** ემინე დაუდის ასული — ქედის რაიონის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

6. **ანა** ხანუმ ახმედ ყიზი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

7. **არჯევანიშვილი** ევგენია ალექსანდრეს ასული — ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „ცხოვრების წყაროს“ წევრი.

8. **ახალკაცი** ანა ნიკოლოზის ასული — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

9. **ბალა** სამედ ყიზი — მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

10. **ბაჩიხანა** მარიამ ანისიმის ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრი.

11. **ბერიძე** ალიოსმან ახმედის-ძე — ხულოს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

12. **ბერძენიშვილი** იოსებ სოლომონის-ძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

13. **ბესტავა** ეულია მიხეილის ასული — ზნაურის რაიონის სამხრეთ ოსეთის ცაკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

14. **ბირიუკოვი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის მტს-ის სარემონტო სახელოსნოს ხარატი.

15. **ბინატ** ბასტი ყიზი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ წევრი.

16. **ბოლოტინი** დოროთე აგაფონის-ძე — ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის მტს-ის სარემონტო სახელოსნოს ზეინკალი.

17. **ვლოდიკო** მარიამ სერგის ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ წევრი.

18. **გაგუა** რაისა ზოსიმეს ასული — ხობის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

19. **გამზა** სეიდ ოღლი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

20. **ჰასანოვი** ლატიფ ისლამ ოღლი — მარნეულის რაიონის მტს-ის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

21. **გახარია** ვასილ დავითის-ძე — სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ედაზნის“ მერგოლური.

22. **ღვინიაშვილი** თინა ილიას ასული — სიღნაღის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

23. **ელეოაშვილი** ნუშო ვასილის ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ნამერწყლის“ წევრი.

24. **ეგეგაჭკორი** ლავრენტი ანდრიას-ძე — გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

25. **გრძელიშვილი** თუმარან იოსების-ძე — ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

26. **გოგიჩაიკა** მატრონა სერგის ასული — ზნაურის რაიონის სამხრეთ ოსეთის ცაკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

27. **დანელია** პეტრე ბათოლომეს-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შარას“ წევრი.

28. **დელბა** ნიკოლოზ შახანის-ძე — ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

29. **ჯიჯელავა** გრიგოლ ლევანის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შარას“ წევრი.

30. **ძანაშვილი** იოსებ ისაკის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ წევრი.

31. **დურსუნ** რუგია ყიზი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ წევრი.

32. **ერემაძე** ისაკი იოლონის-ძე ხობის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

(მაგრძელება იქნება)

ბოლშევიკური პარტიის XIII ყრილობა

25 წლის წინათ, 1924 წლის 23 მაისს შეიკრიბა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა. ეს იყო პირველი ყრილობა მას შემდეგ, რაც პარტიამ, მშრომელთა მასებმა დაჰპყრეს თავიანთი გენიოსი ბელადი და მასწავლებელი, ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ყრილობას დაესწრო 748 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 416 დელეგატი სათათბირო ხმით, რომელნიც პარტიის 735.881 წევრს წარმოადგენდნენ. ლენინის სიკვდილს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა უპასუხა თავისი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით პარტიის გარშემო. ლენინის ბლოვის დღეებში ყოველმა შეგნებულმა მუშამ აწონ-დაწონა თავისი დამოკიდებულება ბოლშევიკური პარტიისადმი და ღირსშესანიშნავი დასკვნა გამოიტანა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში თვეულ ათასობით განცხადება შედიოდა უპარტიო მუშებისა, რომელნიც ითხოვნენ პარტიაში მიღებას. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მზადყოფნას გამოსთქვამდნენ საჭიროების შემთხვევაში უყოყმანოდ შეეწიროთ სიცოცხლე პარტიის საქმისათვის. ესენი იყვნენ მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე, შეგნებული, დისციპლინირებული ნაწილი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დააკმაყოფილა შეგნებულ მუშათა ეს თხოვნა. მოკლე ხნის განმავლობაში პარტიაში მიიღეს იქნა 250 ათასი კაცი. ამთვალან 240 ათასზე მეტი მუშა იყო. ეს იყო ბოლშევიზმის ისტორიაში ცნობილი ლენინური გაწვევა. ეს იყო ლაზარი, მიმართული ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული განწყობილების მატარებელი ელემენტების, პარტიის მტრების წინააღმდეგ.

„ერთ-ერთი საუკეთესო გარანტია პარტიაში წვრილბურჟუაზიულ გავლენათა შემოჭრის წინააღმდეგ, — კვეთხულობთ XIII პარტყრილობის რეზოლუციაში, — და ამასთან ყველაზე საიმედო გარანტია პარტიის ურღვევი ერთიანობისა ლენინიზმის საფუძველზე შეიძლება იყოს პარტიის მეტი ერთგვაროვნობა, მისი პროლეტარული შემადგენლობის პროცენტის გადიდება. რეგოლუციური პროლეტარიატის პარტია, როგორიც ჩვენი პარტიაა, განუხრელად უნდა ახორციელებდეს რევოლუციურ-პროლეტარულ პოლიტიკას მთელ თავის მუშაობაში“.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში ლენინური გაწვევის შესახებ კვეთხულობთ:

„ლენინის სიკვდილმა ცხადყო, თუ რა მახლობელია ჩვენი პარტია მუშათა მასებისათვის და რა დიდად აფასებენ მუშები ლენინურ პარტიას“ (გვ. 348).

ყრილობამ განიხილა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური საკითხები: ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიში; ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და კომინტერნში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წარმომადგენლობის ანგარიშები, მოხსენებანი სამინაო ვაჭრობისა და კოოპერაციის, საქონლბრუნვისა და გეგმიანობის, სოფლად მუშაობის, ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების განხილვის შედეგად მიღებული დადგენილებანი გამოხატავენ იმ პერიოდის დიადი ამოცანებისათვის, ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, ლენინის გლოვის დღეებში შეკრებილ საბჭოების II ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ პარტიის სახელით დადებული ფიცის შესრულებისათვის პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებებს. ყრილობის ამ გადაწყვეტილებებში ასახული იყო ის სიმტკიცე და შეუპოვრობა, რასაც პარტია იჩენდა ქვეყნის ნგრევის ძნიმე მდგომარეობიდან გამოყვანისა და ქვეყნის მთელი ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ სანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხანაგმა სტალინმა. ეს მოხსენება და მოხსენების გამო მიღებული დადგენილება მკაფიოდ მოწმობს, თუ როგორ დაუღალავად იბრძოდა და მუშაობდა პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინის მეთაურობით პარტიის ერთიანობისათვის საბჭოთა ქვეყნის განმტკიცებისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

თავის სანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სახალხო მეურნეობის განვითარების ღონისძიებებს და მკვეთრად გამოჰყოფს მომდინარე ეტაპზე წამოჭრილ უმთავრეს საკითხებს. ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მკვეთრმეტყველური ციფრებით დახატა ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის სურათი. პარტიის მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებიდან სამი წლის შემდეგ, 1924 წლისათვის აღმავლობა მიღწეული იყო მეურნეობის ყველა დარგში. აღდგენის ბრალ ადგა სოციალისტური მრეწველობა, გლეხური მეურნეობა, იზრდებოდა ნათესი ფართობი, პროდუქტების წარმოება, რიცხობრივად იზრდებოდა მუშათა კლასი, ყალიბდებოდნენ მისი საუკეთესო კადრები. 1921 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშათა და გლეხთა ცხოვრების პირობები. მატულობდა ხელფასი, გატარდა ფულის რეფორმა. მტკიცე ვალუტამ დადებითი გავლენა იქონია ბაზრის მოწესრიგებაზე.

მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენის წარმატებით დასრულებისა და შემდგომი განვითარება-გარდაქმნის აუცილებელ პირობად ამხანაგი სტალინი პარტიის წინაშე აყენებდა სახელმწიფოებრივი მრეწველობის გლეხურ მეურნეობასთან კავშირის, პროლეტარიატის გლეხობასთან კავშირის განმტკიცების ამოცანას. ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ აუცილებელია მუდმივი კავშირი, მუდმივი გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის. გლეხურ მეურნეობას არ შეუძლია არსებობა, თუ ქალაქის ბაზარზე არ გაიტანს თავის ნედლეულსა და სურსათს, ხოლო ქალაქიდან არ მიიღებს აუცილებელ ფაბრიკატებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ასევე სახელმწიფო ინდუსტრიას არ შეუძლია განვითარება გლეხობისათვის თავისი ნაწარმის მიუწოდებლად და სოფლიდან სურსათითა და ნედლეულით მოუმარაგებლად.

„ამიტომ, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — კავშირის საკითხი არის ჩვენი ინდუსტრიის არსებობის საკითხი, თვით პროლეტარიატის არსებობის საკითხი, ჩვენი რესპუბლიკის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი“. (სტალინი, თხზულებანი, ტ. 6. გვ. 240).

XIII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საშუალებებს, რომელთაგანაც ერთ-ერთის მთავარს, გადაჭყვეტს ვაჭრობის სფერო ყარროადგენდა. ახალი ეკონომიური პოლიტიკით დამკვიდრებული იყო თავისუფალი ვაჭრობა, კერძო კაპიტალი, მოხდა ვაჭრობის, საკონკურენციოდ ვაჭრობის ბურჟუაზიის მილიონობით ადამიანთა ძალღონის მობილიზაცია. ამხანაგი სტალინი პარტიას ასწავლიდა:

„ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ მილიონობით წვრილ მეურნეთა ღონისძიებანი, დავეიყენოთ ვაჭრობას, სახელმწიფოსა და კოოპერაციის ხელში ავიღოთ სოფლისა და ქალაქის მომარაგების ძირითადი ძაფები და ამრიგად მოვაწყოთ ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობას შორის განუწყვეტელი ურთიერთობა, განუწყვეტელი კავშირი“ (იქვე. გვ. 241).

ყრილობამ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში სოციალისტურ ელემენტებსა და კერძო-კაპიტალისტურ ელემენტებს შორის დიდი მასშტაბის ბრძოლა გაჩაღდა, ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ბრძოლა საკითხის „ვინ ვის“ გადაწყვეტილ. ჯერ კიდევ პარტიის XI ყრილობაზე ლენინი მიუთითებდა, რომ სახელმწიფოსა და კოოპერაციის ძირითადი ძალებით ბაზრების დაუფლება, ვაჭრობის ძირითადი ძაფების დაუფლება არ შეიძლება წარმარადოს მშვიდობიანი მუშაობის წესით, არამედ ეს მოხდება სოციალიზმის ელემენტებსა და კერძო კაპიტალიზმის ელემენტებს შორის ბრძოლით, ჩვენს სახალხო მეურნეობაში ამ ურთიერთ მოწინააღმდეგე ელემენტების შეჯიბრების წესით.

XIII ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს კერძო-კაპიტალისტურ ელემენტებს: ნეპმანებს, კულაკებს, მევახშეებს, განდეგილ იქნან ისინი ბრძენვისა და კრედიტის სფეროდან. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებანი სამმეხპრეზლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელის შემდგომი გაშლისა და მუშაობის გაუმჯობესებისა, გლეხობისათვის იაფი და ხელსაყრელი კრედიტის მიწოდების შესახებ, საჭიროდ ცნო საკრედიტო კოოპერაციის ძირეული ქსელის გაფართოება. მალე კრედიტი 80 მილიონამდე გაიზარდა.

სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მიერ ბაზრის დაუფლების ამოცანის გადასაწყვეტად დასახა საქონლის ფასების შემდგომი შემცირების, საქონლის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ხელმძღვანელობდა რა ლენინის კოოპერაციული გეგმით, ჯერ გასაღების, ხოლო შემდეგ პროდუქტების წარმოების სფეროში გლეხთა შეკავშირების ამოცანით, ყრილობამ დაადგინა:

„სოფლად კოოპერაციის განმტკიცება და ზრდა უწმინარეს ყოვლისა არის ბრძოლა ღარიბი და სამუალო გლეხის განთავისუფლებისათვის კულაკური, სპეკულანტური და მევახშური ყაბალისაგან, რომელიც სოფლად სულ სხვადასხვა ფორმებს იღებს. მეორე მხრივ, კოოპერაციულ თვითმოქმედებაში გლეხთა მასების ფართოდ ჩაბმა გლეხისათვის არის კოლექტიური მეურნეობის წარმოების სკოლა, ყველაზე მარტივი და გასაგები“. (საკავშირო კ. პ. (ბ) რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. გვ. 586).

კოოპერაციამ, — აღინიშნავდა ყრილობა, უნდა შეაკავშიროს გლეხი არა მარტო როგორც მომხმარებელი, არამედ, როგორც მწარმოებელი.

„კოოპერაციას არასდროს და არსად არ ჰქონია ისეთი კოლოსალური და გადამწყვეტი მნიშვნელობა სოციალიზმის შეხებლობის საქმეში, როგორც მას შემდეგ, რაც პროლეტარიატმა თავის კლასობრივ მტერზე გაიმარჯვა, და განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, ვეებერთელა წვრილი გლეხური მეურნეობით, რომელსაც სხვა გზით ვერ წაიყვან სოციალიზმისაკენ, თუ არ ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების, ე. ი. სამომხმარებლო და საწარმოო კოოპერაციის, მეშვეობით. კოოპერირებული გლეხური მეურნეობა აუცილებლად დაკარგავს თავის ინდივიდუალურ ხასიათს და გარდაქმნება კოლექტიურ მეურნეობად“. (იქვე. გვ. 585).

ამ ამოცანების საფუძველზე ყრილობამ მოგვცა უმნიშვნელოვანესი მითითებები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

ყრილობაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ახალგაზრდათა და ქალთა შორის მუშაობის საკითხებს, ნებაყოფლობითი ორგანიზაციების გაფართოებას.

XII ყრილობის შემდეგ ტროციკისტმა მოღალატეებმა ქვეყანაში შექმნილი სიძნელეებისა და ლენინის ავადმყოფობის ძნიძე დღეებში შეთითხეს ეგრეთ წოდებული „46-ის პლატფორმა“ და პარტიას თავს მოახვიეს დისკუსია. ისინი ილაშქრებდნენ პარტიის ძველი კადრების, პარტიული აპარატის წინააღმდეგ, უგულებელყოფდნენ ქვეყნის სამეურნეო განვითარებისათვის დასახულ ღონისძიებათა გატარების საქმეს.

XIII პარტიულმა კონფერენციამ შეაჯამა დისკუსიის შედეგები და დაგმო ტროციკისტების მოქმედება. მიუხედავად ამისა, პარტიის XIII ყრილობაზე ტროციკი და პრეობრაჟენსკი მაინც გამოვიდნენ პარტიაში ჯგუფობრიობის დაშვების მოთხოვნით.

XIII ყრილობამ მოიწონა XIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი, ერთხმად დაგმო ტროციკისტული ოპოზიციის პლატფორმა, ჩათვალა იგი ლენინიზმის რევიზიად, მარქსიზმიდან წვრილბურჟუაზიულ გადახრად.

ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი პასუხი გასცა ტროციკოს და ტროციკისტებს. თავის ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, რომელიც XIII ყრილობის წინ გამოქვეყნდა, დიდმა სტალინმა ბრწყინვალედ დაიცვა და განვითარად გამოთარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ამ ნაშრომმა დიდი როლი შეასრულა პარტიის წევრთა იდეური აღზრდის საქმეში.

ყრილობამ თავის დადგენილებაში დიდი ადგილი დაუთმო პარტიული მშენებლობის, პარტიის ერთიანობის საკითხს. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პარტიაში ახლად მიღებულთა ლენინიზმის სულისკვეთებით აღზრდის, ლენინიზმის პროპაგანდის კოლოსალურ მნიშვნელობას.

საკონტროლო კომისიის ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების წინაშე დააყენა საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანა.

XIII პარტიული ყ

დიდი რუსი ხალხი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი ძალაა

I

ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გმირკაჯვების საზეიმო-სასახლურელო დღეებში ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა რუსი ხალხის შესანიშნავი თვისებანი, როძელთა მეოხებით იგი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალა გახდა. „ეე მინდა წარმოვთქვა ჩვენი საბჭოთა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხის სადღეგრძელო, — თქვა ამხანაგმა სტალინმა.

მე, უწინარეს ყოვლისა, ვსცამ რუსი ხალხის სადღეგრძელოს იმიტომ, რომ იგი არის ყველაზე უფრო გამჩინენილი ერი ყველა ერთა შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან.

მე ვადღეგრძელებ რუს ხალხს იმიტომ, რომ ამ ომში მან დაიმსახურა საყოველთაო აღიარება, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალისა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის.

მე ვადღეგრძელებ რუს ხალხს არა მარტო იმიტომ, რომ იგი ხელმძღვანელი ხალხია, არამედ იმიტომაც, რომ მას აქვს ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მთიმრნება“ (ი. სტალინი. სახ-ბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გვ. 218).

ამხანაგ სტალინის მიერ აღნიშნული განსაკუთრებული თვისებანი რუსი ხალხისა ჩამოყალიბდა მკაცრი ისტორიული აღზრდის შედეგად. ხალხის ხასიათი ყალიბდება საუკუნეთა მანძილზე და იცვლება ხალხის არსებობის პირობების შეცვლასთან ერთად. „ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით,—თქვა ამხანაგმა ჟდანოვმა, — და ხვალ ის აღარ ვიქნებით, რაც დღეა ვართ. ჩვენ ის რუსები აღარა ვართ, როგორიც 1917 წლამდე ვიყავით, რუსეთიც ის აღარ არის, ხასიათიც უკვე სხვა გვაქვს. ჩვენ გამოვიცვალეთ და გავზარდეთ იმ უდიდეს გარდაქმნებთან ერთად, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე“.

საშობლოს სიყვარული რუს ადამიანში უფდამ იწვევდა სიძულვილს მისი მტრებისადმი, სიძულვილს პაპანგებისა და ყიეჩიებისადმი, რომელნიც ცხენის ფლოქვებით თელავდნენ კიევის მიწა-წყალს, სიძულვილს გერმანელი ქოფაკი რაინდებისადმი, რომელნიც თავს ესხმოდნენ ნოვგოროდსა და ფსკოვს, სიძულვილს ოკრის ურდოსადმი, რომელიც ორ საუკუნეზე მეტ ხანს ანადგურებდა და ძარცვავდა რუს მოსახლეობას, სიძულვილს ყველა იმისადმი, ვინც ომით მოდიოდა, ვისაც სურდა დამოუკიდებელი არსებობის უფლებანი წაერთმია რუსი ხალხისათვის. ამავე დროს საშობლოს სიყვარული რუს ადამიანში იწვევდა სიძულვილს ბოიარებისადმი, მემამულეებისადმი, ყოველგვარ კანცელარიათა საქმის მჩარხველებისადმი, მეფის მინისტრებისა და მოხელეებისადმი, მეფის რუსეთის მთელი გბატონებული კლასისადმი, რომლის კეთილდღეობაც იქმნებოდა გლეხების სისხლით, წამებითა და ცრემლით, დაბეჩავებითა და აოხრებით. და ხალხი არა ერთხელ ამხედრებულა თავის მტანჯველთა წინააღმდეგ.

ხალხს უძლეველი ძალა დიდი ხანია შეგნებული ჰქონდათ საუკეთესო რუს ადამიანებს. „უზარმაზარია ჩვენი დედა რუსეთი!—წერდა XIX საუკუნის დამდეგს ცნობილი პარტიზანი დენის დავიდოვი.—ჩვენი ქვეყნის სახსრების სიუხვე უკვე ძვირად დაუჯდა ბევრ ხალხს, რომელმაც ხელყო მისი ღირსება და არსებობა; მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ იციან რამდენი ფენა ლავაა მის წიაღში... ჯერ რუსეთი არ წამომდგარა მთელი თავისი დევგმირული სიმაღლით და ვიი მის მტრებს, თუ იგი ოდესმე წამოდგა!“. ეს სიტყვები მთლიანად გამართლდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა რუსმა ხალხმა სამედამოდ დაამსხვრია და მოიშორა კლასობრივი ჩაგრის ბორკილი. რუსი ხალხი, შემოქმედი და მშენებელი ხალხი, საბჭოთა ხელისუფლების ეროს ფეხზე დადგა მთელი თავისი დევგმირული სიმაღლით.

II

რუსეთი ევროპის მთელ რიგ ქვეყნებზე უფრო გვიან დაადგა კაპიტალიზმის გზას, მაგრამ რუსეთის მუშათა კლასი ყველაზე ორგანიზებული და ყველაზე რევოლუციური აღმოჩნდა.

რუსეთი დიდი რევოლუციური ტრადიციების ქვეყანაა. ეს ტრადიციები რუსეთის მუშათა კლასის განვითარების ისტორიულ პირობებმა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებულმა მისმა გმირულმა რევოლუციურმა ბრძოლამ შექმნეს.

ჯერ კიდევ 1894 წელს ლენინი წინასწარმეტყველურად წერდა რუსეთის მუშათა კლასის ისტორიული როლის შესახებ: „...რუსი **მუშა** აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბსოლუტიზმს და წაიყვანს **რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის** პროლეტარიატთან ერთად) **აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით, ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ**“ (ვ. ი. ლენინი, ტ. I, გვ. 356). უკვე XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთიდან აღმოსავლეთში — რუსეთში გადმონაცვლა. საერთაშორისო რევოლუციური ბრძოლის ავანგარდში რუსეთის პროლეტარიატის დაწინაურება აიხსნება არა მარტო რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების პირობებით, არამედ იმითაც, რომ რუსეთის მუშათა კლასობრივი შეგნების ჩამოყალიბება ხდებოდა ლენინის რევოლუციური მოძღვრების მძლავრი ზემოქმედებით, ლენინისა, რომელმაც მარქსიზმის თეორია იმპერიალიზმის ეპოქაში კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებთან შეფარდებით განავითარა.

რუსეთი ლენინიზმის საშობლოა, დიდი ლენინის საშობლოა. რუსი ხალხის გენიალურმა შვილმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა თავის დიდ თანამებრძოლ სტალინთან ერთად აღუჭურვა მუშათა კლასი რევოლუციური მოქმედების თეორიით და გაუძღვა მას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ უღმობელ ბრძოლაში, მთელი მშრომელი მოსახლეობის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსი ხალხი ეკუნტრი ბანგრეში ბანდა ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძალ ვერ გაარძმევს ეკონომიურ სინძლეელებს და ამიტომ იძულებული გახდება კაპიტულაცია მოახდინოს კაპიტალიზმის წინაშეო. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ განსაცვიფრებლად მოკლე ვადაში შეძლო არა მარტო ანმოეფხვრა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის მძიმე შედეგები, არამედ ჩამორჩენილი აგრარული რუსეთი მძლავრ სოციალისტურ, ინდუსტრიულ და საყოფაცხოვრებო სახელმწიფოდაც კი გადაექცია.

რუსმა ხალხმა უდიდესი წვლილი შეიტანა მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების საერთო საკაცობრიო საუნჯეში. „მე ვხედავ რუს ხალხს, — წერდა გორკი, — განსაკუთრებით, ფანტასტიკურად ნიჭიერს“. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური საბჭოთა კულტურის შექმნასა და განვითარებაში. ამხანაგმა ა. ა. ჟდანოვმა თავის მოხსენებაში „ურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ თქვა: „...საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიცია განგრძობდა XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებისა, იმ ტრადიციებისა, რომლებიც შექმნეს ჩვენმა დიდმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა — ბელინსკიმ, დობროლუბოვმა, ჩერნიშევსკიმ, სალტიკოვ-შჩედრინმა, რომლებიც განაგრძო პლეხანოვმა და რომლებიც მეცნიერულად დაამუშავეს და დასაბუთეს ლენინმა და სტალინმა“. მხოლოდ ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტებს, რომელნიც ყოველივე უცხოურის წინაშე მლიქვნელობენ, რომელთაც ღირსების გრძნობა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობა არ გაანჩიათ, შეეძლოთ არ შეენიშნათ რუსული კულტურის უდიდესი პროგრესული ისტორიული როლი და არ დაენახათ სოციალისტური საბჭოთა კულტურის უდიდესი, მსოფლიოს გარდამქმნელი მნიშვნელობა.

III

რუსი ხალხის შესანიშნავი თვისებანი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში, რომელიც მუხანათური შემოსევის მოთხადების გულოდგნებების მბრივ არ შეიძლება შეედაროს ყარსულ ომებს. საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის თავდასხმის მომეხტები თითქმის მთელი დაიაკელეთი ევროპა დამონებული ჰყავდა გერმანულ ფაშიზმს.

ჰიტლერელებმა მსოფლიო ბატონობის ბოდვითი იდეის განხორციელებისათვის თავიანთ ბრძოლაში თავგარი დარტყმა მიმართეს დიდი რუსი ხალხის წინააღმდეგ, რუსი ადამიანების — საბჭოთა კავშირის წამყვანი ძალის წინააღმდეგ.

ამხანაგი სტალინი, ამხილებდა რა გერმანელი ფაშისტების მხეცურ, ავადხეარ არსს, ამბობდა:

„და ამ ადამიანებს, რომლებსაც სინდისი და პატიოსნობა დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ყოფნით მოეწყოდნ დიდი რუსი ერის მოსპობისაკენ, პლეხანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასა და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პაველოვის, რეპინისა და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისაკენ!..“.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე რუსი ხალხი თვითეული მტკაცელი მშობლიური მიწა-წყლისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის მომძე ხალხთა ავანგარდში ჩადგა. უსაზღვრო საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით აღფრთოვანებული რუსი ადამიანები ისტორიაში უმაგალითო მასობრივ გმირობას იჩენდნენ ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში, მტრის ზურგში წარმოებულ პარტიზანულ ომში, დაძაბულად შრომობდნენ ქარხნებსა და საწარმოებში.

რუსი ხალხი სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად წარსდგა მსოფლიოს წინაშე, როგორც გმირი ხალხი, განმათავისუფლებელი ხალხი, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხი. საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომელნიც ეყრდნობოდნენ სოციალისტური ეკონომიკის ძლიერებასა და უპირატესობას, საბჭოთა სახელმწიფო წყობილების დიად ძალას, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში.

ამ გამარჯვებამ დასავლეთ ევროპის ხალხები იხსნა დამონებისაგან, მან უზრუნველყო, რომ საბჭოთა ხალხი დაბრუნებოდა მშვიდობიან შემოქმედებითს მუშაობას, უზრუნველყო საბჭოთა ხალხის შემდგომი წინსვლა კომუნისტური საზოგადოების აშენებაში. ამხანაგ ა. ა. ჟდანოვი სიამაყით ამბობდა: „სად ნახავთ ისეთ ხალხსა და ისეთ ქვეყანას, როგორიც ჩვენია? სად ნახავთ ადამიანთა ისეთ შესანიშნავ თვისებებს, როგორიც გამოიჩინა ჩვენმა საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში და როგორსაც იგი ყოველდღე იჩენს შრომითს საქმეებში, მშვიდობის განვითარებაზე და მეურნეობისა და კულტურის აღდგენაზე რომ გადავიდა!“.

ოთხი წელი გავიდა იმ ღირშესანიშნავი დღის შემდეგ, როცა გენიალურმა ბელადმა და მასწავლელმა ამხანაგმა სტალინმა რუსი ხალხის სადღეგრძელო წარმოთქვა. ამ წლებში გიგანტურ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა სსრ კავშირის ყველა ხალხი. მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელი დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით იბრძოლა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

ამ დიდ შემოქმედებითს მუშაობაში რუსი ხალხი ხელმძღვანელი ძალაა სსრ კავშირის ყველა ხალხთა შორის. რუსი ხალხის ძმური დახმარება უზრუნველყოფს, რომ ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ყველა ხალხმა დაიჩქაროს სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენის ტემპი, მიაღწიოს ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების ახალ აყვავებას.

ბოლშევიკების დიადი პარტიის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმულ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ძლიერ, უძლეველ ძალას ანიჭებს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შესანიშნავ თანავარსკვლავედში თანასწორთა შორის პირველია სახელოვანი რუსეთის ფედერაცია, რომლის გარშემო მრავალეროვან საბჭოთა კავშირად გაერთიანებულია ყველა მოძმე რესპუბლიკა.

თავისუფალ ერთა ძმლე კავშირი
ძმური
შეუერავს მუდმივად დიდ რუსეთის
ხალხს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ამ შესანიშნავ სიტყვებში მკაფიოდ არის გამოხატული რუსი ხალხის ისტორიული როლი, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი ძალისა.

დიდმა რუსმა ხალხმა, რომელმაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ენერგია გამოიჩინა, წარმატებით დაძლია ყველა უმძიმესი ისტორიული განსაცდელი, ყველაზე უფრო რევოლუციური მუშათა კლასი წარმოშვა, განსაკუთრებული როლი შეასრულა ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლაში, სამართლიანად დაიკავა პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა შორის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ძალამ.

პროფესორი კ. ბაზილევიჩი

ჩაღლება შეჯიბრება ნედლეულის ეკონომიისათვის

★

ქუთაისის საწარმოებში

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნები წელს გაცილებით უკეთეს მაჩვენებლებს აღწევენ ნედლეულის მომგირნეობით ხარჯვაში, ვიდრე შარშან. მაგალითად, სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა განვლილ 4 თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით დაზოგა 2.100 მეტრი ქსოვილით მეტი, ხოლო ლიტოპონისა და მანქანათმშენებელმა ქარხნებმა 10-15 პროცენტით გაადიდეს გეგმით გათვალისწინებული ეკონომია.

ფეიქრების მ. როყნევას და ლ. კონონენკოს თაოსნობის საპასუხოდ საწარმოებში უფრო ფართოდ გაიშალა ბრძოლა ნედლეულის მაქსიმალური ეკონომიისათვის.

შეჯიბრებაში პირველი ჩაება მაუდის ფაბრიკის კოლექტივი, სადაც წინათ ხშირი იყო ნედლეულის გადახარჯვის შემთხვევები.

ამკამად აქ „გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. მარტო აპრილში მაუდელებმა 2.517 კილოგრამი შენახვეა, ნახევარ ტონაზე მეტი ნართი და სხვა ნედლეული დაზოგეს.

კუპაევნის სტახანოველთა მისაბაძ შეაწოდეს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა, საქსოვი საამქროს ქვეოსტატებმა ნ. გაბეხიამ და გ. თაბუაშვილმა კონკურტული ვალდებულებებით უპასუხეს. პირველმა იკისრა თვეიერად გასწიოს 70 კილოგრამი ნართის ეკონომია, ხოლო მეორემ — ერთისამად შეამციროს ნარჩენები.

ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი, რომელმაც განვლილ 4 თვეში 16 ათასამდე დეცამეტრი ტყავი დაზოგა, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ახალ ინიციატივას ნედლეულის ეკონომიისათვის.

საგამომგზავრელო საამქროს სტახანოველმა ბრიგადირმა ვ. ფეხიანემ იკისრა წლის ბოლომდე ხუთჯერ შეამციროს დანაკარგები, დაზოგოს 25 ათასი დეციმეტრი ტყავი და ამით დამატებით დაამზადოს 4.500 წყვილი ფეხსაცმელი. ბრიგადის თერმოტიავე გამოჭრელმა, გახსნა რა ზირადი ანგარიში, გადადებული ვალდებულებანი იკისრა, გამოცდილმა სპეციალისტმა პ. ზარგაძემ, რომელიც კომბინატში დაარსებიდანვე მუშაობს, პირობა დადო ტრაფარეტებიდან ტყავის კომბინირებული აჭრით თვეში დაზოგოს 600 დეციმეტრი ტყავი და 5 ახალ მუშას დაეხმაროს კვალიფიკაციის ამაღლებაში, ამასთან 120 პროცენტით შეასრულოს დავალება.

მეფეხსაცმლეებმა იკისრეს წლის დაზოგან 45 ათასი დეციმეტრი ტყავი, 5 პროცენტით გაადიდონ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და დატაციის ნაცვლად, რასაც დღემდე იღებდნენ, წარმოებას მისცენ 400 ათასი მანეთი დაგროვება.

გ. მეფხისაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

თბილისის საჩთავ-საგრაკოგაჟო კომბინატში

კომბინატის მეკატრეებმა, ნართის გადამხვეველებმა და სხვა პროფესიის ფეიქრებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი კუპავინის ფაბრიკის სტახანოველების მ. როყნევასა და ლ. კონონენკოს შესანიშნავ თაოსნობას და ახალი ვალდებულებები აიღეს ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

კომბინატის 407 ფეიქარი ერთმანეთს ეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის დამზადებასა, მოწყობილობის უფრო მიზანშეწონილად გამოყენებასა და ნედლეულის ეკონომიურად ხარჯვაში. ამ მხრივ შესანიშნავი მიღწევები მოიპოვა ოსტატის თანაშემწე ე. ნიკიტინას ბრიგადამ, რომელმაც გეგმის 152 პროცენტით შესრულებასთან ერთად 99,8 პროცენტი საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოუშვა, ამასთან 10 პროცენტით გაადიდა მოწყობილობის ნაყოფიერება და გეგმის გადამეტებით 21 პროცენტით შეამცირა ნართის ნახვეები.

კომბინატის მოწინავე ადამიანებმა მეკატრე მ. გეჯაძემ, ნართის გადამხვეველმა რ. სკვორცოვამ, კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელმა მ. ამირანაშვილმა, მეფთილე ნ. ბარნაბიშვილმა და სხვებმა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებასთან ერთად ძნიშვნელოვნად შეამცირონ ნართის ნახვეები და სხვა ნარჩენები.

ითვისებენ ფერადი ღაქის ყვავეულის დამზადებას

ბათუმის ტყავის ქარხნის კოლექტივმა აითვისა ფერადი ლაქის ტყავის გამოშვება. სპეციალისტებმა ქარხნის ლაბორატორიაში უკვე დაამზადეს ფერადი ტყავი.

ქარხანა უახლოეს ხანში მასობრივად გამოუშვებს ლაქის ფერად ტყავეულს.

(„საბჭოთა აჭარა“)

გამოცდები სკოლებში

ბეჯითი შრომის ნაყოფი

წარმატებით მიმდინარეობს გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საშუალო სკოლებში.

ქალთა მე-6 საშუალო სკოლა (დირექტორი ქეთევან ჩიჩუა) ქალაქის სკოლებს შორის ერთ-ერთი მოწინავე სკოლაა. სკოლაში 1.073 მოსწავლე სწავლობს, ამათგან 215 მოსწავლე ხუთოსანია. სკოლის მთელი კოლექტივი კარგად შეხვედა საგაზაფხულო გამოცდებს. ფართო და ნათელ დერეფნებს აშშვენებს ბელადისა და მის თანამებრძოლთა პორტრეტები, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა სურათები. სკოლაში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს წითელ ტილოზე თეთრი ასოებით დაწერილი წარწერა: „ვისწავლოთ, ვისწავლოთ, ვისწავლოთ შეუპოვრად“ (ი. სტალინი). „ბოშფიეთა გმირობა და სიმამაცეი — ეს არის სწავლა წარჩინებულად“ (ლ. ბ. ბერია).

ქალთა მე-6 სკოლას 42 პედაგოგი ჰყავს, მათგან 25 მასწავლებელი ორდენებითა და მედლებით არის დაჯილდოებული.

წელს ამ სკოლას 47 მოსწავლე დაამთავრებს. მათ შორის 15 ოქროს მედლის კანდიდატია. გასულ წელთან შედარებით განსაკუთრებული მომზადება გამოამჟღავნეს XI კლასის მოსწავლეებმა. ნ. ჯაშმა, ე. ცაგარეიშვილმა, ნ. ხაზარაძემ, ნ. ბეკარიმან, ნ. წოლოსანმა, ნ. გიორგობიანმა, ც. მაისურაძემ და სხვებმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი სამუშაო ხუთზე შეასრულეს.

კარგი აკადემიური წარმატება აქვთ თავიანთი საგნების სწავლებაში ენინის ორდენოსან მასწავლებლებს მარიამ ჯაბარიაშვილს, სერაპიონ ტყავაძეს, ბერეთელ ორდენოსან მარიამ მაჭარაძეს, ნინო თაქაიშვილს, თ. დოლიძეს, ახალგაზრდა მასწავლებელს დ. ვადაჭკორიას და სხვ.

მასწავლებელთა ასეთი თავდადებული მუშაობით სკოლაში მაღალ დონეზე დგას მოსწავლეთა აკადემიური წარმატება და სასკოლო დისციპლინა.

* * *

ქალთა მე-5 სკოლაში (დირექტორი ა. მახარაძე) გამოცდების პირველ დღეს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ენინის ორდენოსანი ფ. კალანდაძე) ღრმა ცოდნა გამოამჟღავნეს ლ. ანდიღულაძემ, ლ. მთაწმინდელმა, ე. მაჭავარიანმა, ც. ცირეკიძემ, ნ. ხატისკაცმა, ლ. ცქიტაშვილმა, რ. გვარამიან, ც. მაჭარაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც როგორც წერაში, ისე ზეპირში უმაღლესი შეფასება მიიღეს.

გამოცდებზე ბუნებისმეტყველებაში (მასწავლებელი კ. მიმინოშვილი) IX კლასში 32 მოსწავლედან შეფასება „5“ მიიღო 19 მოსწავლემ, 10 მოსწავლემ მიიღო — „4“. ენინის ორდენოსან ნინო ბოცვაძის კლასში (VI კლასი) ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეფასება „5“ მიიღო 14 მოსწავლემ, შეფასება „4“ — 14 მოსწავლემ.

X კლასში გამოცდაზე ფიზიკაში (დამსახურებული მასწავლებელი კ. თოთიბაძე) 39 მოსწავლედან საუკეთესო ცოდნა გამოამჟღავნა და შეფასება „5“ მიიღო 20 მოსწავლემ.

გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები რაიონის სხვა სკოლებშიც წარმატებით მიმდინარეობს.

რკინიგზის ვაჟთა მეორე სკოლაში

თბილისის რკინიგზის ვაჟთა მეორე სკოლაში (დირექტორი მ. შაიმელაშვილი) მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა კარგი ცოდნა გვიჩვენეს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. მოსწავლეებმა ვ. ზამბახიძემ, ლ. ქეგელიანშვილმა, გ. კოკობელიძემ და ბ. ფოცხვერაშვილმა როგორც ზეპირში ისე წერით ნამუშევარში მიიღეს შეფასება „5“. ამ კლასში ჩატარებული გამოცდის შემდეგ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ენინის ორდენოსანი კ. კაპანაძე) 18 მოსწავლიდან 7 მოსწავლემ მიიღო შეფასება „5“, შეფასება „4“ — 6 მოსწავლემ, შეფასება „3“ — 5 მოსწავლემ.

კარგად ჩატარდა გამოცდები ალგებრაში (მასწავლებელი ორდენოსანი დ. ბახტაძე), მეათე კლასის 21 მოსწავლიდან არცერთს არ მიუღია ცუდი შეფასება.

მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ თავიანთ დისციპლინებში მასწავლებლებს ე. მიმინოშვილს და ნ. დოლიძეს.

* * *

გამოცდებისათვის კარგად მოემზადა ქალთა მე-13 სკოლის კოლექტივი (დირექტორი ენინის ორდენოსანი ა. ხუსაინოვა). მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი თ. ყიფშიძე) მეთერთმეტე კლასელებმა მ. ფილოსანმა, ე. ბოლქვაძემ, ნ. კაჭარავამ, ლ. კოკლაშვილმა და სხვებმა წერითი და ზეპირ გამოცდებზე უმაღლესი შეფასება მიიღეს.

გამოცდები სხვა კლასებშიც წარმატებით მიმდინარეობს.

ჩვენ გვწერენ

ბაღის ნაცვლად თავლა აშენებენ

ჩვენი უბნის მცხოვრებები აღფრთოვანებული დარჩნენ, როცა შეიტყეს, რომ ყოფილი სასაფლაოს ტერიტორიაზე (ჩერნიშევის ქუჩის შესახვევის ბოლოზე) ბაღის მშენებლობა განიზრახეს. მაგრამ მიმდინარე წლის დასაწყისში აღნიშნულ ადგილზე მოულოდნელად დაიწყეს... თბილისის მოლოტოვის რაიონის დასუფთავების კანტორის თავლის მშენებლობა.

ამ საკითხზე არაერთხელ მიმართეთ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოსა და მოლოტოვ-ს რაისაბჭოს აღმასკომებს, მაგრამ ერთგანაც და მეორეგანაც ერთი და იგივე პასუხი მივიღეთ: დასუფთავების კანტორის „საქმიანი“ ეზოსათვის დროებით უკეთესი ადგილი ვერ გამოენახეთ. როცა ბაღის მშენებლობა დაიწყება, მაშინ თავლაც და სხვა ნაგებობებიც სხვაგან იქნება გადატანილი.

აღსანიშნავია სხვა გარემოებანიც: პირველი. დასუფთავების ეგრეთწოდებული „საქმიან“ ეზოში თავლის მშენებლობისათვის წელს გადადებულია 60.000 მანეთი, ამავე ეზოში უნდა აშენდეს ავტომანქანებისა და სხვა ტრანსპორტის სადგომები, რაც ბაღის მშენებლობის დაწყებისთანავე უნდა დაინგრეს. შრომა და სხვა უამრავი ხარჯვები უქმად უნდა დაიკარგოს.

მეორე. აღნიშნულ ადგილზე მუდმივადაც რომ რჩებოდეს „საქმიანი“ ეზო, მისი აშენება მიზანშეუწონელია, რადგან ის ეწყობა ისეთ მაღლობზე, რომელზეც ცხენების ცარიელი ტრანსპორტი ძლივს აავეთ, ხოლო ავტოტრანსპორტისათვის კიდევ უფრო მიუდგომელია, განსაკუთრებით ზამთარში.

მესამე. ამ ტერიტორიის ირგვლივ არის ხშირი მოსახლეობა, რომელსაც შეაწუხებს უწყლოდ და უკანალიზაციოდ მოწყობილი თავლები.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი უნდა დაინტერესდეს ამ საკითხით.

ბოპორიშვილის შესახვევის № 20, 22 და 24 სახლების მცხოვრებთა დაკალებით —

ნ. ჩუბინიშვილი
ნ. ოქროკაპირიძე
ნ. ბერძენიშვილი
ე. ყვავილაშვილი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

დავამყაროთ წესრიგი საბინაო მეურნეობაში

„კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელს ავტორი გვწერდა, რომ მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსის ამხ. ა. ლალანიძის სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობის შედეგად საბინაო მეურნეობის სამმართველოს ზოგიერთმა მუშამ მთელი რიგი დანაშაულებრივი მოქმედება ჩაიდინა. სახელმძღვანელობებს და ტექნიკურ განყოფილებას სერიოზული დამახინჯებები აქვთ სარემონტო სამუშაოთა შესრულების განაწესთა გაფორმების და მასალის აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენებაში.

საბინაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ლ. მალალაშვილი, ტექნიკური ინსპექტორები ვ. ლენინი და ნ. იბრაჰიმოვი ბორტოდან ოფენებდნენ თანამდებობას, სუსტად უწევდნენ კონტროლს სამმართველოსა მუშაობას ბინების მიმდინარე რემონტის საქმეში. ტექნიკური ხელმძღვანელი იბრაჰიმოვი შეიმოწმებლად უწერდა სახლმმართველებს სხვადასხვა სახის მიმდინარე რემონტის განაწესებს და ამით ხელს უწყობდა ბორტამოქმედი მასალისა და თანმხლების გაწიავებასა და სხვა დანაშაულებრივ მოქმედებაში.

ზოგიერთი სახლმმართველი ხელს უწყობს ბინების ყიდვა-გაყიდვას, არ ამყოველნებს ამ საქმეში დამნაშავეებს.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გიგზავნეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორკანიზაციის 26 კომისრის რაკომს. როგორც რაიკომის მდივანი ამხ. ნ. სტეფანოვი ამბობს, ეს ფაქტები მართლაც ასეთია. ამ ფაქტებზე ინფორმაციას ეძლევა ენინის ორდენოსანი ბ. ბაბაევი, ენინის ორდენოსანი ბ. ბერეთელ ორდენოსანი მარიამ ბაბარაძე, ენინ თაქაიშვილი, თ. დოლიძეს, ახალგაზრდა მასწავლებელს დ. ვადაჭკორიას და სხვ.

მასწავლებელთა ასეთი თავდადებული მუშაობით სკოლაში მაღალ დონეზე დგას მოსწავლეთა აკადემიური წარმატება და სასკოლო დისციპლინა.

* * *

ქალთა მე-5 სკოლაში (დირექტორი ა. მახარაძე) გამოცდების პირველ დღეს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ენინის ორდენოსანი ფ. კალანდაძე) ღრმა ცოდნა გამოამჟღავნეს ლ. ანდიღულაძემ, ლ. მთაწმინდელმა, ე. მაჭავარიანმა, ც. ცირეკიძემ, ნ. ხატისკაცმა, ლ. ცქიტაშვილმა, რ. გვარამიან, ც. მაჭარაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც როგორც წერაში, ისე ზეპირში უმაღლესი შეფასება მიიღეს.

გამოცდებზე ბუნებისმეტყველებაში (მასწავლებელი კ. მიმინოშვილი) IX კლასში 32 მოსწავლედან შეფასება „5“ მიიღო 19 მოსწავლემ, 10 მოსწავლემ მიიღო — „4“. ენინის ორდენოსან ნინო ბოცვაძის კლასში (VI კლასი) ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეფასება „5“ მიიღო 14 მოსწავლემ, შეფასება „4“ — 14 მოსწავლემ.

X კლასში გამოცდაზე ფიზიკაში (დამსახურებული მასწავლებელი კ. თოთიბაძე) 39 მოსწავლედან საუკეთესო ცოდნა გამოამჟღავნა და შეფასება „5“ მიიღო 20 მოსწავლემ.

გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები რაიონის სხვა სკოლებშიც წარმატებით მიმდინარეობს.

ბოპორიშვილის შესახვევის № 20, 22 და 24 სახლების მცხოვრებთა დაკალებით —

ნ. ჩუბინიშვილი
ნ. ოქროკაპირიძე
ნ. ბერძენიშვილი
ე. ყვავილაშვილი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ი. ვიშინსკის ვიზიტი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ შუმანთან

პარიზი, 21 მაისი. (საკადსი). დღეს პარიზს ჩამოსულის შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ საფრანგეთში სსრ კავშირის ელჩ ა. ა. ბოგომოლოვის თანხლებით თავაზიანობის ვიზიტი გაუკეთა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რობერ შუმანს.

ჰოლანდია აღნიშნავს ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავს

ჰააგა, 22 მაისი. (საკადსი). ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით ჰააგაში მოეწყო დიდი რუსი პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. პუშკინის წაწყმობებთა მთარგმნელმა ალეკი სკოტმა გააკეთა მოხსენება პოეტის ცხოვრების გზის შესახებ, ხოლო შემდეგ წაიკითხა პუშკინის ლირიკული ლექსები.

გაზეთი „ალგემეინ ჰანდელსბლადი“ ხაზგასმით აღნიშნავს პუშკინის დამსახურებას რუსული ლიტერატურის შექმნაში, რომელმაც ზნეობრივი ინფლუენსი იქონია დასავლეთ ევროპის კულტურაზე. ჰოლანდიის მრავალი სხვა გაზეთი და ჟურნალი აგრეთვე უძღვნის სტატიებს ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავს.

გერმანიის სახალხო საბჭოს გენერალური მდივნის განცხადება

ბერლინი, 21 მაისი. (საკადსი). ომასთან დაკავშირებით, რომ ფაშისტის საოკუპაციო ხელისუფლებამ აკრძალეს გერმანელ პოლტიკურ მოღვაწეთა სრულიად გერმანიის თათბირი პანოვერში, გერმანიის სახალხო საბჭოს გენერალურმა მდივანმა გიოლკერ კენენმა ადნის კონტროლ-დენტს განეცხადება გაუკეთა, რომელშიც აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა „აგიერეგებთა და აღშფოთებთ“ შეხვდა ამ აკრძალვას.

„გერმანელები,—თქვა კენენმა,—უფრო გაბედულად დაუჭერენ ბრალ, ერთიანობასა და მშვიდობას. ყოველი კეთილგონიერი ადამიანისათვის ნათელია, რომ საოკუპაციო ხელისუფალთა შორის, ისევე როგორც გერმანიის სამეურნეო უწყებებს შორის უშიაღო მოლაპარაკების განახლებას უნდა მოჰყვეს აგრეთვე სრულიად გერმანიის პოლიტიკური მოლაპარაკება“.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ ფაიანაა დაიკავა ქალაქი სიანი

ბეიპინი, 21 მაისი. (საკადსი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ 20 მაისს სახალხო-განმათავისუფლებლმა არმიამ დაიკავა შენსის პროვინციის დედაქალაქი ქალაქი სიანი, რომელიც მოსახლეობა დაახლოებით 500 ათას კაცს შეადგენს.

ქალაქი სიანი მდებარეობს ლუხაის რკინიგზაზე და ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის უდიდესი ქალაქია.

სიანის დასავლეთით სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ ლუხაის რკინიგზაზე დაიკავა ქალაქები სიანანი, სიპინი და უგუენი, აგრეთვე ნამაზრო ქალაქები ლიციუანი და ძიანსიანი.

სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ხანჯოუდან იუწყება, რომ სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ ჯეიანანის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაიკავა ნაყადგური ენენგოუ. სახალხო განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე გადავიდა გომინდანის რეგულარული ჯარების ერთი პოლკი და „შვიდობისა და წესრიგის მხარდაჭერის“ ჯარების პოლკი.

მიიუვეენ რა ხანჯოუს აღმოსავლეთისაკენ, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა მიიღწიეს პუნქტს ნინბოს დასავლეთით 40 მილზე და სამი დღის ბრძოლების შედეგად დაიკავეს 6 ქალაქი ხანჯოუსა და ნინბოს შუა მდებარე რკინიგზაზე.

იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის კომუნიკე

რომი, 22 მაისი. (საკადსი). გუშინ შედგა იტალიის სოციალისტური პარტიის ახალი ხელმძღვანელობის მეორე სხდომა. როგორც კომუნიკე იუწყება, სხდომა მოწვეულ იქნა სარჩევნოზაციო პოლიტიკურ საკითხთა განსახილველად, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა უახლოეს დღეებში მოიწვიოს პარტიის საოლქო კონფერენციები ცენტრალური კომიტეტის წევრების, ფედერაციათა მდივნების, შრომის პალატების მდივნების, დეპუტატებისა და სენატორების მონაწილეობით.

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ განიხილა მოკამათეთა გაფიცვის მიმდინარეობის. კერძოდ მოღონელსაში (ბ-ონინის პროვინცია) არსებული მდგომარეობის საკითხი და პროტესტი განიცხადა „პოლიციის იმ ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც აკრძალდ დაარღვიეს კონსტიტუცია და პროფკავშირის კონფლიქტებში ერეკვიან ამ იმედით, რომ გასტეხონ შრომელთა წინააღმდეგობა“. „ხელმძღვანელობა,—ნათქვამია კომუნიკეში,—ვალუბს პარტიას ენერგიულად დაუპირის მხარი მოკამათეთა ბრძოლას“.

ხელმძღვანელობამ განიხილა აგრეთვე რომის მემარჯვენე ფრაქციის საქმიანობა და დადგინა, რომ ეგრეთ წოდებული „ავტონომისტების“ „ფრონტი“ კომიტეტის მონაწილეებმა, რომლებმაც ჯუზეპე რომეტის ხელმოწერით გამოაქვეყნეს მოწოდება გათიშისაკენ, იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებს გარეთ დაიყენეს თავიანთი თავი. ხელმძღვანელობამ ასევე ყველა წევრის წინაშე აუკრძალავს ემნინშნელი უმეტესობისა ამ ჯგუფის ფრთისეულურ მოქმედებას, ჯგუფისას, რომელიც დემოკრატიულ ლაპარაკობს, ნამდვილად კი პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს არ ცნობს.

ხელმძღვანელობა მოადგინეს პარტიის წევრებს, რომლებმაც ყრილობაზე რომეტის რეზოლუციის მისეცეს ხმა, რომ ყრილობამ გამოადინა თავისი დემოკრატიული ნებისყოფა და პარტიის ერთიანობის შესანარჩუნებლად წინადადება მისცა მათ შესულიყვნენ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, ამასთან დაუტოვა მათ ადგილების პროპორციული რიცხვი, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის უახლოეს სესიაზე მევეხეთენ ექნება ითქოთ წარმომადგენლებთან, ვინც პარტიის ერთიანეთ დარჩება. ადგილობრივმა ფედერაციებმა და სექციებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად“.

ამერიკელი კორესპონდენტი მაკლოის ახალი დანიშვნის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 მაისი. (საკადსი). გაზეთი „დეილი კომპასის“ ვაშინგტონელ კორესპონდენტს ტოუნს გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში უმაღლეს კომისრად მაკლოის დანიშვნა მიაჩნია როგფელერის და „სტანდარდ ოილ“ კომპანიის გამარჯვებად. სტოუნი წერს, რკომისტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ მაკლოის ნაცვლად ბლეკის დანიშვნა აგრეთვე „სტანდარდ ოილის“ გამარჯვებაა. იგი წერს, რომ მაკლოის კუთვნილი იერიდიელი ფირმა „მიდლენდ, ტვიდ, პოუპ, ჰედლი ენდ მაკლოი“ კომსულტაციას აძლევს „ჩეიზ ნეიშნლ ბენკს“, რომელსაც სტოუნი „სტანდარდ ოილის“ ოოლსტრატის განყოფილებას“ უწოდებს.

სტოუნი მოაგონებს, რომ ბლეკი „ჩეიზ ნეიშნლ ბენკის“ ე. ი. იმ ბანკის პრეზიდენტი-პრეზიდენტია, რომელიც „პოლიტიკიერ რეჟიმის ძირთადი საფიანსმო აგენტი იყო და ფანტასტიკურ დახმარებას უწევდა ი. გ. ფარბენინდუსტრიისთან დაკავშირებულ ნაციის კონცერნს“. სტოუნი წერს, რომ გერმანიაში ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის დეკარტელიზაციის განყოფილების ხელმძღვანელის ოოდგიდ კოლისონის დათხოვნა და დეკარტელიზაციის განყოფილების მეორე წარმომადგენლის—საქსის (ორივე ამხილება ამერიკის სამხედრო ხელისუფლების მიერ დეკარტელიზაციის ნაშლას. —რედ. შენშენა) დათხოვნის ნაცვლად სამხედრო მოწმობს, რომ ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ კარტელებს, უფრო მტკიცედ გრძნობენ თავს მაკლოის დანაშენზე. სტოუნი ბაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩეიზ ნეიშნლ ბენკს“ მჭიდრო კავშირი აქვს გერმანიის მრეწველობასთან და ამბობს, „ჩეიზ ნეიშნლ ბენკის“ წარმომადგენლებს პატერიელ გერმანიასთან კონტაქტი არასოდეს არ გაუწყვეტიათო.

ფორესტოლის თვითმკვლელობა

ნიუ-იორკი, 22 მაისი. (საკადსი). 22 მაისს ღილის 2 საათზე თავი მოიკლა შეერთებული შტატების ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს ფორესტოლმა, რომელიც სახლიდან ჰოსპიტლის ფანჯრიდან გადახტა, სადაც იგი სამკურნალოდ იმყოფებოდა.

ნიუ-იორკი, 23 მაისი. (საკადსი). გუშინ ღილის 2 საათზე თავი მოიკლა შეერთებული შტატების ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს ფორესტოლმა, რომელიც ბეთესდა-ჩევზ-ბეთესდა გარეუბანში მდებარე სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტლის შენობის მე-16 სართულის ფანჯრიდან. როგორც ცნობილია, ჰოსპიტალში იგი სამკურნალოდ იმყოფებოდა 2 პაციენტად. ფორესტოლის სხეული სრულიად დასახჩრებული, ფეხშიშველ პიჟამის საფენტის ცოხის თანმხმად, ფორესტოლს გადატანის დროს საავადმყოფოს ხალათი ეცვა, რომელის ქამარი ყელზე ჰქონდა შემოჭერილი. ფესტიტედ პრესის საგაზეთო საზოგადოებისათვის ეკრძალა „კონსტიტუციის“ მიღებაზე დასწრება, მაგრამ ამან დამსწრეთა მკეთარი პროტესტი გამოიწვია.

ლანდტაგში კამათის დროს გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრმა დეპუტატმა კარლ შაბროდმა განაცხადა, მხარეთა ლანდტაგების მიერ დასაკეთო გერმანიის სუპარატული „კონსტიტუციის“ რატიფიკაციის საბედისწერო შედეგები მოჰყვებათ. ლანდტაგმა 53 ხმით გერმანიის კომუნისტური პარტიის ფრაქციისა და „ცენტრის პარტიის“ 38 ხმის წინააღმდეგ მიიღო „ძირითადი კანონი“. სხვადასხვა პარტიის 25 დეპუტატი ლანდტაგის სხდომის არ დასწრებია.

ინგლის-ამერიკის სამხეღრო ბაზა კუნძულ კვიპროსზე

ნიუ-იორკი, 21 მაისი. (საკადსი). როგორც გაზეთი „დეილი მირორი“ იუწყება, შეერთებული შტატები და ინგლისი შეუდგენენ სამხედრო ბაზის რეკონსტრუქციას კვიპროსზე, რაც გათვალისწინებულია „ჩრდილო ატლანტიკის ჰაქტის“ შესაბამისად სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზების მნიშვნელობის საერთო გეგმით“.

შემდეგ გაზეთი წერს, რომ უკანასკნელ ათ დღეში კვიპროსს ჩაეიდა ორი გემი, რომლებმაც ჩატვიანეს უახლეს ტანის ამერიკული რადარული დანადგარები. კვიპროსს ჩაეიდა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 300 სამხედრო ინჟინერი და ტექნიკოსი.

სრულიად კორეის ერთიანი ეროვნული დემოკრატიული ფრონტის შექმნისათვის

ფხენიანი, 22 მაისი. (საკადსი). სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიესალმებიან სრულიად კორეის ერთიანი ეროვნული დემოკრატიული ფრონტის შექმნის წინადადებას და სურვილს გამოთქვამენ მონაწილეობა მიიღონ ამ ფრონტში.

ჩრდილოეთ კორეის გაერთიანებული პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ცო დიე სეკმა განაცხადა, რომ პროფკავშირების ნახევარი მილიონი წევრი და მთელი მოწონაე მუშათა კლასი სავსებით იწონებს ამ წინადადებას და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სრულიად კორეის ერთიანი ეროვნული დემოკრატიული ფრონტის მუშაობაში.

გლეხთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ხენ ირ დენმა განაცხადა, რომ გლეხთა კავშირის ექვსასი ათასი წევრი მხურვალედ მიესალმება და მხარს უჭერს ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისა და სახოგადოებრივი ორგანიზაციის წინადადებას სრულიად კორეის ერთიანი ეროვნული დემოკრატიული ფრონტის შექმნის შესახებ. „ჩვენ,—თქვა მან,—დიდრანზმათი მთელ ძალებს და ენერგიულებთ ამერიკის ჯარების გაყვანისა და სამშობლოს გაერთიანებისათვის“.

სრულიად კორეის ერთიანი ეროვნული დემოკრატიული ფრონტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა ორგანიზაციებმა.

სამხრეთ კორეის ხალხის ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ

ფხენიანი, 22 მაისი. (საკადსი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სამხრეთ კორეის ხალხს ბრძოლა ლი სინ მანის მარionეტული „მთავრობის“ და ამერიკის ბატონობის წინააღმდეგ დღითი დღე ძლიერდება. ახლა ეს ბრძოლა ვრცელდება სამხრეთ კორეის ორა მარტო დიდ ცენტრებში, არამედ ყველა პოიფლში. სამხრეთ კორეის ხოსნინის საგენტოს ოფიციალური ცნობების თანახმად ბეგრ სოფელში შექმნილია ორგანიზაცია სახალხო ჩაზმეულთათვის შეიარაღებული დახმარების გასაწევად. სამხრეთ დენლის პროვინციაში შეიარაღებულმა რაზმებმა მარტო ამა წლის აპრილში 158 ფაშისტი ექსპედიციაა მოაწყეს პოლიციის უბენების მოსასპობად და სამშობლოს მოღალატეებისა და პროიაპონური ელემენტების დასასჯელად.

ფხენიანი, 22 მაისი. (საკადსი). სეულის რადიო გადმოგვცემს, რომ სამხრეთ კორეის მარionეტული „მთავრობის“ ჯარების სარდალი ნონამის რაიონში (სამხრეთ დენლი) პოდპოლკოვნიკმა ვონ ენ დენმა ხელისუფალთ გაწვეესათ „ოკაუფეცა სამხრეთ დენლის პროვინციაში ჩაქრობილი არ არის და ჩვენ ბუდამ ზზად უნდა ვიყოთ. ადგილყოფილთა რაზმები მოქმედებენ 243 თვეში. 1 მაისის შემდეგ ოკაუნეტელთა მოქმედება გაძლიერდა. ამ უკანასკნელ ხანს შეიქმნა ოკაუყეტელთათვის სამხედრო დახმარების ორგანიზაციები, რომელთა წევრები დიდ მატერიალურ და მორალურ დახმარებას უწევენ ოკაუყეტელთ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლის შორის კავშირის მოწყობაში. ოკაუყეტელთა უმრავლესობას ყოფილი სასოფლო-სამეურნეო მუშები შეადგენენ“.

ინგლისელ ბანკირთა „ბრალეულობა“ ბერლინის ბლოკადაში

ბერლინი, 22 მაისი. (საკადსი). ბერლინის ბლოკადის ორგანიზატორებად ინგლისელ ბანკირთა „ბრალეულობა“ ბერლინის ბლოკადაში